საქართველოს მთავრობის

დადგენილება №79

2021 წლის 1 მარტი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის №171 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 14/05/2012, 040030000.10.003.016848) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) დადგენილების დანართ №1-ის ფორმულარის 374-ე კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„374	ცოცხალ პირზე დაზიანების წარუხოცელობის დადგენა	ერთი ფიზიკური პირი	100 ლარი +250 ლარი თითო მოწვეულ სპეციალისტზე“;

ბ) დადგენილების დანართ №1-ის ფორმულარის 375-ე კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„375	ასაკის ან/და სქესობრივი სიმწიფის ან საეჭვო სქესობრივი მდგომარეობის დადგენა	ერთი ფიზიკური პირი	175 ლარი + 250 ლარი თითო მოწვეულ სპეციალისტზე“;

გ) დადგენილების დანართ №1-ის ფორმულარის 377-ე კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„377	ცოცხალი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის ექსპერტიზა მოწვეული სპეციალისტის მონაწილეობით	ერთი ფიზიკური პირი	230 ლარი + 250 ლარი თითო მოწვეულ სპეციალისტზე“;

დ) დადგენილების დანართ №1-ის ფორმულარის 378-ე კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„378	სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა საქმის მასალებით მოწვეული სპეციალისტის მონაწილეობით	ერთი ფიზიკური პირი	230 ლარი + 250 ლარი თითო მოწვეულ სპეციალისტზე“;

ე) დადგენილების დანართ №1-ის ფორმულარის 380-ე კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„380	შეუღლების, განაყოფიერების ან ჩასახვის უნარის დადგენა	ერთი ფიზიკური პირი	120 ლარი + 250 ლარი თითო მოწვეულ სპეციალისტზე“;

ვ) დადგენილების დანართი №1-ის ფორმულარის 381-ე კოდის გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„381	ორსულობის დადგენა	ერთი ფიზიკური პირი	120 ლარი + 250 ლარი თითო მოწვეულ სპეციალისტზე“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**